პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 69 (12885) | კვირა, 22 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერში:

- ამიერკავკასიის ჟურნალისტებმა მისალმება გაუგზავნეს ნ. ს. ხრუშჩოვს
- ჩვენი ხელოვნება და თანამედროვეობა
- ტექნიკის სიახლენი — ადამიანის თანაშემწე

მაღაროელები დაწინაურდნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქაური მაღაროელები განაგრძობენ სოციალისტურ შეჯიბრებას მოძმე ნიკოპოლელ თანამოსაქმეებთან, იბრძვიან წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

თებერვალში დაწინაურდნენ ლენინისა და კალინინის სახელობის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები. ლენინელებმა თებერვლის დავალება 27 რიცხვისათვის შეასრულეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი დაამზადეს. ნაყოფიერად მუშაობენ ო. კობახიძის, უ. კვესაძის, გ. დარბაიძის უბნებისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივები.

ლენინისა და კალინინის სახელობის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებმა მარტში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და იმისათვის იბრძვიან, რომ დიდი ლენინის დაბადების 94-ე წლისთავი ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ.

ტუფი გეგმის გადამეტებით

კასპი. (საკ. კორ.). თეძამის ტუფის საწარმოს კოლექტივმა გადამეტებით შეასრულა თებერვლის საწარმოო დავალება. თვიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 320 კუბური მეტრი დახერხილი ტუფი.

მუშები გ. ჯანანაშვილი, ი. იმერლიშვილი, შ. კანდელაკი, ა. კილეპტრიშვილი და სხვები დ. ი. ლენინის დაბადების 94-ე წლისთავის შრომითი ვახტზე დგანან და ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

საწარმოს კოლექტივი კარგად მუშაობს მარტშიც. პირველი დეკადის დავალება გადამეტებით არის განაღდებული.

ქართველი ქიმიკოსები ლისიჩანსკში მიემგზავრნენ

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ აზოტოვანი სასუქების ქარხნის ქიმიკოსთა დელეგაცია ლისიჩანსკში გაემგზავრა. დელეგაციას მეთაურობს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. წიქორიძე. ქართველი ქიმიკოსები თანამოსაქმეებთან შეაჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, გაეცნობიან უკრაინელი ქიმიკოსების მუშაობის გამოცდილებას.

ნოვატორული აზრი ტექნიკის ლოკომოტივია

დიდი შვიდწლედის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დღითიდღე ძლიერდება. ამ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, რომლებსაც წინ მიჰყავთ ტექნიკური პროგრესის საქმე. შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მაძიებელი, შემოქმედებითი აზრის ადამიანების მრავალათასიანი არმია განუწყვეტლივ იზრდება.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა და 14 ათას კაცს გადააჭარბა. მათი შემოქმედებითი ჰორიზონტები ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე დღითიდღე ფართოვდება. ამისი ნათელი დადასტურებაა ის, რომ რესპუბლიკის გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა ვადამდე განაღდეს შვიდწლედის ბოლოსათვის ნაკისრი ვალდებულება — ოთხ წელიწადში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 54 ათასზე მეტი ტექნიკური სიახლე და რაციონალიზატორული წინადადება. რის შედეგადაც დაიზოგა 50,5 მილიონი მანეთი.

ნოვატორული აზრის ადამიანებმა თავიანთ საწარმოებში გადახედეს გამოუყენებელ რეზერვებს და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს შვიდწლედის ბოლოსათვის საწარმოებში კვლავ დანერგონ იმდენი ტექნიკური სიახლე და გამოგონება, რომ მათ შედეგად სახალხო მეურნეობამ 50 მილიონი მანეთი მოგება მიიღოს.

გაწეული მუშაობის შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ რესპუბლიკის რაციონალიზატორები და გამომგონებლები წარმატებით განაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას. შვიდწლედის ხუთ წელიწადში შემოსულია 115.478 წინადადება, აქედან წარმოებაში დასანერგავად მიღებულია 86.505, ხოლო წარმოებაში დაინერგა 69.579 ტექნიკური სიახლე და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 67 მილიონ 547 ათას მანეთს შეადგენს.

საქართველოს მუშათა კლასის მაღალი კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონე კარგ საშუალებას აძლევს წარმოების ნოვატორებს თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების საქმეში, ახალი მექანიზმების, ჩქაროსნული ტექნოლოგიური პროცესების შექმნასა და დანერგვაში.

რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეულ დარგებში, მოწინავე ფაბრიკებსა და ქარხნებში, შემოქმედებითს აზრს მხურვალედ უჭერენ მხარს. მკაფიოდ გამოჩნდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა როლი შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქმე კარგად არის დაყენებული შვიდწლედის პირმშო ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობაში. აქ წლითიწლობით იზრდება წინადადებათა როგორც შემოსვლა, ისე წარმოებაში დანერგვა. 1963 წელს შემოვიდა 2.081 წინადადება, წარმოებაში დასანერგავად მიიღეს 1.427, ხოლო დაინერგა 1.112. ეკონომიამ სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის შედეგს.

ამ წინადადებათა დანერგვა დიდად უწყობს ხელს იმას, რომ მრეწველობის ამ დარგში შეიქმნა მრავალი ელექტროტექნიკური ხელსაწყო, რომლებიც როგორც ჩვენს დიად ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთის ბევრ სახელმწიფოში დიდი მოწონებით სარგებლობს.

ტექნიკური აზრის ადამიანებს ფართო გასაქანი აქვთ თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანასა და ბათუმის ქარხანა „ელექტროკარში". ამ საწარმოებში შარშან ბევრი საყურადღებო წინადადება დაინერგა. რისთვისაც ორივე საწარმოს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში საუკეთესო საწარმოს სახელწოდება მიენიჭათ და ფულადი პრემიები მიეკუთვნათ.

შარშან კარგი შედეგები მოიპოვეს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმაც. მათ მიერ განხორციელებულ წინადადებათა შედეგად მიღებულია ერთ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია, რაც სამჯერ აღემატება წინა წლის შედეგებს. განსაკუთრებით ისახელა თავი გორის ბამბეულის კომბინატმა, რომელსაც გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში საუკეთესო საწარმოს სახელწოდება და ფულადი პრემია მიეკუთვნა.

შვიდწლედის დიდებული ამოცანების, პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის ახლანდელი გაქანებით. ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა შემოტანილ წინადადებათა დანერგვის პრაქტიკაში. ნოვატორებს ეღობებათ ბევრი დაბრკოლება და სიძნელე, რომლებიც ხელს უშლის მათ ტექნიკური აზრის განხორციელების საქმეში.

რუტინას, დახავსებულობას, ქვემოდან მომდინარე შემოქმედებითი ინიციატივის უგულებელყოფის ფაქტებს შეხვდებით არა მარტო ცალკეულ საწარმოებში, არამედ მრეწველობის ზოგიერთ დარგშიც. შეუწყნარებელი ფაქტია, რომ 1963 წელს ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს საწარმოებში წინა წელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა შემოსულ წინადადებათა რიცხვი, ასევე შემცირდა საწარმოებში დანერგილ წინადადებათა რაოდენობა, რის გამოც 1962 წელთან შედარებით რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომია 167 ათასი მანეთით შემცირდა. ამ დარგში ასევე გააუარესეს მუშაობა ტრესტ „საქართველოს ჩაის" საწარმოებმა. აქ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის შემცირების შედეგად 1963 წელს წინა წელთან შედარებით ერთ მილიონ მანეთზე მეტით შემცირეს ეკონომია. უფრო მეტიც, აღნიშნული დარგების საწარმოებიდან რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქმეში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვერც ერთმა საწარმომ ვერ გაიმარჯვა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საზოგადოება ყოველი ღონისძიებით უნდა ავითარებდეს მასობრივ გამომგონებლობასა და რაციონალიზატორულ მოძრაობას, მშრომელთა ფართო მასების ყურადღებას წარმართავდეს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივებიდან, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო და საწარმოო გეგმებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები საწარმოებში უნდა ეწეოდნენ ბრძოლას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად, მაქსიმალურად, ფართოდ დანერგვისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან თავიანთ შეუნელებელ კონტროლს დაუქვემდებარონ მასობრივი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მუშაობა. მათი მოვალეობაა დაიცვან წარმოების ნოვატორები გულგრილობისაგან, რუტინისაგან, აღმოფხვრან ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ყოველი გამოვლინება.

გამომგონებლები და რაციონალიზატორები, თავიანთ კეთილშობილურ და ძნელ შრომაში, ახლის, მოწინავის ძიებაში, ტექნიკური პროგრესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ზრუნვის ყოველ ნაბიჯზე უნდა გრძნობდნენ მხარდაჭერას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ, მთელი საზოგადოებრიობის მხრივ.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომში" ძირითადად ახალგაზრდა გოგონები და ჭაბუკები მუშაობენ. ბევრი მათგანი სიმწიფის ატესტატით მივიდა წარმოებაში, გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე ხელობა შეისწავლა და მოწინავე მუშების მწკრივში ჩადგა. მათ შორის არიან **ლიანა ფანჯიკიძე** და **ლიანა ახათიანი**, რომლებმაც სწრაფად აითვისეს ზეინკალ-ამწყობების პროფესია და ახლა ნაწელავს ვერავინ დაუწუნებს. პირველ სურათზე (მარცხნივ) ხედავთ ამ ახალგაზრდა გოგონებს, რომლებიც ამოწმებენ უნივერსალურ გამზომთველს.

მ. გულაშვილმა დუშეთის რაიონის სოფელ არანისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განიზრახა გამხდარიყო ფეიქარი. ამ მიზნით მან სიმწიფის ატესტატით თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებულ პროფტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა. მან წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და კომბინატის მოსამზადებელ საამქროში მეფთილედ დაიწყო მუშაობა. ბეჯითმა და მუყაითმა გოგონამ მალე ყველას ყურადღება მიიქცია. მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ პირველი ხარისხისა იყო. ორი წლის მუშაობის შემდეგ მოწინავე ფეიქარი გოგონა პროფტექნიკურ სასწავლებელში ინსტრუქტორად გადაიყვანეს. ახლა იგი მომავალ ფეიქრებს გულდასმით გადასცემს თავის ცოდნასა და მუშაობის გამოცდილებას. მ. გულაშვილის, როგორც კარგი ინსტრუქტორისა და აღმზრდელის პორტრეტი ამშვენებს საპატიო დაფას. მეორე სურათზე ხედავთ **მ. გულაშვილს** (მარცხნიდან მესამე), რომელიც ესაუბრება მომავალ ფეიქრებს ნართის ხარისხის შესახებ.

ფოტო გ. გოგოხიასი და დ. ნანობაშვილისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ამიერკავკასიის ჟურნალისტები, რომლებიც შეიკრიბნენ სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქში — აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, რათა განიხილონ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანები, უთვლიან კომუნისტთა პარტიის მებრძოლ შტაბს — სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, მგზნებარე, ბოლშევიკურ სალამს.

საბჭოთა ამიერკავკასიის პრესა პარტიის ქმნილება, ლენინური „ისკრისა" და „პრავდის" ტრადიციების მატარებელია. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ბოლშევიკებთან, მუშებთან და გლეხებთან ერთად იგი უტევდა თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეებს, აკავშირებდა და აერთიანებდა ხალხებს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლებში. ამიერკავკასიის გაზეთებმა ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენი ხალხების ბრძოლის მატიანეში. გენიალური ლენინის იდეების ჩაუქრობელი შუქით გაცისკროვნებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრესის მთელი მიქცეფარე, მგზნებარე და მეტად მძიმე მუშაობა. ჩვენ განუწყვეტლივ ვსწავლობთ ილიჩისაგან. მისი იდეები, რომლებიც შემოქმედებითად განვითარდა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, ამ ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამასა და პარტიის სხვა ისტორიულ დოკუმენტებში, შემოქმედებითი შთაგონების ცოცხალი წყაროა.

თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, გვიწოდეთ ჩვენ, ჟურნალისტებს, „პარტიის საიმედო თანაშემწეები". ამ მცირე, მაგრამ მეტად ღრმა შინაარსის სიტყვებში ვხედავთ არა მარტო მაღალ შეფასებას, დიდ ნდობას, არამედ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც პარტიისა და ხალხის წინაშე გვაკისრია.

ვამაყობთ, რომ შეგვიძლია პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოვახსენოთ: ამიერკავკასიის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ დიდი მუშაობა გასწიეს, უფრო მიზანდასახულად, პრინციპულად და შეუპოვრად არა მარტო პარტიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდას ეწევიან, არამედ ეხმარებიან პარტიას მშრომელთა ფართო მასების დარაზმვაში ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვენ, ამხანაგო ნ. ს. ხრუშჩოვ, გვასწავლით არ დავჯერდეთ და არ მივეცეთ განცხრომას მიღწეულის გამო, მომთხოვნი ვიყოთ საკუთარი თავისადმი, მუდამ ბასრი გვქონდეს ბოლშევიკური ჟურნალისტის კალამი. ამიერკავკასიის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს ესმით, რომ ბევრი გადაუჭრელი ამოცანა აქვთ, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ჩვენი გაზეთების, ჟურნალების ფურცლებიდან, რადიო და ტელეგადაცემებიდან აღმოგვეფხვრა მთლიანად შაბლონი, უფერულობა, თემების დაწვრილმანება.

დიდი ლენინი, საბჭოთა ჟურნალისტების ამოცანებს რომ განსაზღვრავდა, მოუწოდებდა მათ მეტი ყურადღება მიექციათ ეკონომიკისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობის შესწავლისათვის. „მეტი ყურადღება იმას, — ხაზგასმით აღნიშნავდა ილიჩი, — თუ როგორ აშენებს სინამდვილეში მუშათა და გლეხთა მასა რაღაც ახალს თავის ყოველდღიურ მუშაობაში".

ლენინის ამ მითითებამ უნდა განსაზღვროს და კიდევაც განსაზღვრავს უფრო მეტი ძალით მთელ ჩვენ არსს, გაზეთების, ჟურნალებისა და რადიოს მთელი მუშაობის არსს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამიერკავკასიის ჟურნალისტები მუდამ იქნებიან პარტიულ ორგანიზაციათა ყველაზე მებრძოლი და აქტიური თანაშემწეები პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლაში.

ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია ის, რომ სავსებით აღმოვფხვრათ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის პასიური ფორმა, ყოველდღიურად, განუხრელად, ბეჯითად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყველგან ინერგებოდეს მეცნიერების მიღწევანი, წარმოების მოწინავეთა გამოცდილება, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ რესპუბლიკაში, თვითეულ რაიონში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველ დარგში კამკამებდეს ასობით და ათასობით შუქურა.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრესა კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლებს დიდი ქიმიის შექმნისათვის, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კოოპერირებული კავშირურთიერთობისა და სპეციალიზაციის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრისათვის, რომ ეკონომიკის განვითარებას მივაღწიოთ უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე.

გაზეთებს, ჟურნალებს, რადიოსა და ტელევიზიას, ადამიანთა სულსა და გონებაზე ზეგავლენის ჩვენს ჟურნალისტურ საშუალებათა მთელ მდიდარ არსენალს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მათ ჩავუნერგოთ კომუნისტური მსოფლმხედველობა და კომუნისტური მორალი, კიდევ უფრო სრულად და გასაგებად გავუწევთ პროპაგანდას მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სკკპ პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებებს.

ჩვენ მუდამ წმიდად დავიცავთ ჩვენი პარტიული პრესის ლენინურ ტრადიციებს, კიდევ უფრო ღრმად და მგზნებარედ გავუწევთ პროპაგანდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობასა და ძმობას, რომლებსაც მეთაურობს ჩვენი უფროსი ძმა და მეგობარი — დიდი რუსი ხალხი.

სიტყვას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ ამიერკავკასიის პრესა, პარტიულობის ლენინური ანდერძის ერთგული, მთელ ხალხთან ერთად ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ საბჭოთა პრესას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას!

დიდება ლენინის დიად პარტიას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიჰყავს!

მიღებულია ამიერკავკასიის ჟურნალისტთა თათბირზე 1964 წლის 21 მარტს

სემინარ-თათბირმა მუშაობა დაამთავრა

სამ დღეს გრძელდებოდა ბაქოში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა სემინარ-თათბირი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მოიწვია.

მეორე დღეს თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის ი. ი. ჩხიკვიშვილისა თემაზე — „პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების გაშუქება" და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მ. დ. დავითაშვილისა თემაზე — „პრესის მასობრივი მუშაობა".

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორი პოლკოვნიკი მ. კ. გოლოვასტიკოვი, ეჩმიაძინის საწარმოო სამმართველოს გაზეთ „კომუნიზმი უგიოვის" რედაქტორი ვ. ა. ზაქარიანი.

სემინარზე გამოვიდნენ გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" სარედაქციო კოლეგიის წევრი ნ. ა. ზაკოლუპინი, პრესის სააგენტო „ახალი ამბების" პასუხისმგებელი მდივანი ბ. ი. პიშჩიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირში სატელევიზიო პროგრამების გაცვლის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ბ. პ. სტეპანოვი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის" სარედაქციო კოლეგიის წევრი ა. გ. კლიმოვი.

გუშინ, სემინარ-თათბირის მუშაობის ბოლო დღეს, გამოვიდნენ აფხაზეთის გაერთიანებული საოლქო გაზეთების რედაქტორი გ. ს. სემიონოვი, ლენინაკანის გაზეთ „ბანვორის" რედაქტორი გ. ო. ახრიანი, საკდესის სარედაქციო კოლეგიის წევრი ბ. ვ. აფანასიევი, გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" რედაქტორი პ. ვ. ასლანიდი, ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. ი. ლანგფანგი, გაზეთ „აფშერონის" რედაქტორი გ. ი. მეხრალიევი.

მოხსენება სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ლექტორმა ნ. ვ. შიშლინმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ი. ახუნდოვის გამოსვლა, რომელიც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულთბილად მიესალმა თათბირის მონაწილეებს.

სემინარ-თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გ. ნ. ბოჩკარიოვმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო ამიერკავკასიის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის აღზრდისათვის ბრძოლაში.

უდიდესი აღმავლობით მიიღეს თათბირის მონაწილეებმა მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. (აზდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს მე-6 სესიის თავმჯდომარეს

მოსკოვი, 21 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს VI სესიის თავმჯდომარეს, სესია 22 მარტს იხსნება ალჟირში.

„საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერდნენ და უჭერენ მხარს აზია-აფრიკის ხალხთა გმირულ ბრძოლას თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის. საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა სულითა და გულით მიესალმება იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც უკვე მოპოვებულია კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში", — აღნიშნულია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში.

წერილში ნათქვამია: თავისუფლებისმოყვარე ხალხები გადაჭრით ილაშქრებენ იმპერიალისტთა ცდების წინააღმდეგ, რომ წინაღუდგნენ იმ ხალხთა ეროვნულ განთავისუფლებას, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ იმყოფებიან.

„ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების, მათი ანტიიმპერიალისტური პოზიციების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, — ნათქვამია წერილში, — მათი ერთობისა და სოლიდარობის გაძლიერება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან და მთელ რევოლუციურ ძალებთან. ასეთი ერთობა უზრუნველყოფს წარმატებას კოლონიალიზმისა და რასიზმის საბოლოო აღმოფხვრის საქმეში, განთავისუფლებული ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, დედამიწაზე მშვიდობისა და თავისუფლების განმტკიცებაში. აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ კეთილშობილური მიზნების უსწრაფესად მიღწევის საქმეში".

დასასრულ საბჭოთა მთავრობის მეთაური ხესიის მონაწილეებს უსურვებს წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

გენუაში საბჭოთა გამოფენის დამთვალიერებლებისადმი

მოსკოვი, 21 მარტი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვმა გულწრფელი სალამი და კეთილი სურვილები მიუძღვნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის ყველა დამთვალიერებელს, მთელ მეგობარ იტალიელ ხალხს და იმედი გამოთქვა, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ურთიერთგაგების შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

ამჟამად, აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მშვიდობის უზრუნველყოფა დედამიწაზე. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს, რომ ყველა ქვეყნებს შორის, ყველა ხალხებს შორის განვითარდეს ურთიერთსასარგებლო კონტაქტები სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის საფუძველზე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, მნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე და ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობის ყველა მომხრემ უნდა გააძლიეროს თავისი მეცადინეობა, რათა რეალურ წარმატებებს მიაღწიოს ამ გზაზე, რომელიც ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია მისალმებაში, ღრმა და გულწრფელი სიმპატიით არიან გამსჭვალული იტალიელი ხალხისადმი. დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას გამოთქვამს, რომ სსრ კავშირსა და იტალიას ყველა ხელისშემწყობი შესაძლებლობა აქვთ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, და გამარჯვებას უსურვებს ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას.

დარბაზობა მარშალ აბდალა ას-სალალის პატივსაცემად

21 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მარშალ აბდალა ას-სალალის პატივსაცემად. იემენის არაბთა რესპუბლიკის მეთაურთან ერთად ეწვიენ ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ლ. ნ. ეფრემოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ე. კალნბერზინი და სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები. დარბაზობაზე იყვნენ უცხოელი დიპლომატები და ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა და აბდალა ას-სალალმა წარმოთქვეს სიტყვები.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალი ვიზიტი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მიწვევით უახლოეს დროში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად უნგრეთში ჩავა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

აყვავდეს ყამირის მხარე!

მეყამირეთა წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ყამირის მხარის პარტიულ-სამეურნეო კრების მონაწილეებმა ყაზახეთის ყამირის ვეტერანებისა და ყველა მშრომელის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი. მეყამირეები დიდ მადლობას უძღვნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მისალმებისათვის ახალი მიწების ათვისების დაწყების ათი წლისთავის გამო, რომელშიც დიდად არის შეფასებული მეყამირეთა შრომა.

პირველი მეყამირეების გზა ვარდებით როდი იყო მოფენილი, ნათქვამია წერილში. ყამირის ძნელად თანდათან იპყრობდნენ. მეყამირეებს მოუხდათ სასტიკი ბრძოლის გადატანა არა მარტო ბუნების ძალებთან, არამედ ურწმუნოებთან. მოკლე დროის მანძილზე ყამირის მხარეში ათვისებულია 19 მილიონი ჰექტარი მიწა. 1954-1963 წლებში მხარის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სამშობლოს მისცეს 3 მილიარდ 538 მილიონი ფუთი პური — 7,2-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ათწლეულში. ხორცის დამზადება ამ ხნის განმავლობაში 3,3-ჯერ გაიზარდა, რძისა — 3-ჯერ, კვერცხისა — 7-ჯერ. სწრაფი ტემპით ვითარდება ყამირის ინდუსტრიაც.

ახლა მხარის მშრომელები მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ საგაზაფხულო თესვისათვის გულმოდგინედ მზადებას. საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი ამთავრებენ თესლის წმენდას, ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტს. მეურნეობებში მოეწყო აგროტექნიკური და აგროქიმიური სწავლება, ამზადებენ 100 ათასამდე მექანიზატორს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების პასუხად ყამირის მიწების მშრომელებმა გადაწყვიტეს 1964 წელს მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე იბრძოლონ იმისათვის, რომ მიიღონ სულ ცოტა ერთი მილიარდი ფუთი მარცვალი, რაც საშუალებას მისცემს მიჰყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 726 მილიონი ფუთი ყამირის პური. ხორციელდება ღონისძიებანი, რომ კიდევ უფრო გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივი ყამირის მხარის ყველა მშრომელის სახელით აღუთქვამს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ ყამირელები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს იმ დიადი პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც დასახეს სკკპ XXII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. ჩვენ ისე ვიმუშავებთ, წერენ თვალუწვდენი ტრამალების დამპყრობნი, რომ ყამირის მხარემ გაახაროს წელს ჩვენი სამშობლო ყამირის დიდი პურით. (საკდესი).

საერთაშორისო
ლიტერატურული
ჟურნალი
ДЕЙЕЧЕЗИ, ЦЕЛОЖЕЗИ, ЗИЗОЧЕЛИЗИ
ЦЕЛОЗРЕЗА

კამბოჯა ბრალს სდებს ამერიკას

საფრანგეთი ახალ მოკავშირეებს ეძებს ლათინურ ამერიკაში

თურქეთი აქლიერებს საომარ მზადებას

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 21 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ბრიტანეთის ელჩს მოსკოვში ს. ტრეველიანს შემდეგი განცხადება გაუკეთა.

ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის სპბჭოთა თანთავმჯდომარემ მიმდინარე წლის 17 მარტს მიიღო კამბოჯის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელიც შეიცავს სახელმწიფოს მეთაურის პრინც ნოროდომ სიანუკის თხოვნას მიიღოთ ღონისძიებანი, რათა სასწრაფოდ მოიწვიონ საერთაშორისო თათბირი კამბოჯის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის წინადადებას, რომ აღნიშნული თათბირი მოწვეულ იქნეს 1954 წლის აპრილში, რომელიც მიმდინარე წლის 18 იანვარს გადაეცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას, და გამოთქვამს იმედს, რომ ინგლისის მხარე კვლავ განიხილავს ამ წინადადებას პრინც სიანუკის უკანასკნელი მიმართვის მიხედვით და დაუყოვნებლივ აცნობებს პასუხს ამ საკითხზე.

ელჩმა თქვა, რომ დაუყოვნებლივ გადასცემს თავის მთავრობას ამ განცხადებას.

ა. კოსიგინი იტალიაში

ჟენუა, 21 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელიც იტალიის მთავრობის მიწვევით ვიზიტად იმყოფება იტალიაში, დღეს მიიღო იტალიის მრეწველთა კონფედერაციის („კონფინდუსტრიის") თავმჯდომარე ფურიო ჩიკონია და ესაუბრა მას.

საუბარში, რომელიც შეეხო სსრ კავშირისა და იტალიის ეკონომიურ დარგში საქმიანი თანამშრომლობის განვითარების სხვადასხვა ასპექტს, მონაწილეობდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი.

ჟენუა, 21 მარტი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვატყობინებს:

დღეს ჟენუაში გაიხსნა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელიც 12 აპრილამდე იმუშავებს. ექსპონატებში მრავალფეროვნებითა და იმ ფართობით, რომელიც მას უჭირავს, მისი ტოლი არც ერთ საზღვარგარეთის ქვეყანას არასდროს არ მოუწყვია იტალიაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით გამოფენა გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ. მატარელა, ჟენუის მერი ვ. პერტუზიო და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე იტალიის საქმიანი წრეების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით ა. ნ. კოსიგინმა გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცა იტალიის ხალხსა და მთავრობას, სტუმარმოყვარე ჟენუის მცხოვრებლებსა და გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიის ყველა მონაწილეს.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა წაიკითხა ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება ჟენუაში საბჭოთა გამოფენის დამთვალიერებლებისადმი.

ა. ა. გრომიკო ჰელსინკიში

სტოკპოლმი, 21 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო სტოკჰოლმიდან ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაფრინდა.

ჰელსინკი, 21 მარტი. (საკდესი). ფინეთის მთავრობის მოწვევით დღეს ფინეთის დედაქალაქში ოფიციალურ სტუმრად ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეფულითურო.

პრეზიდენტ დე გოლის დიპლომატიური შეტევა

პარიზი. დამთავრდა საფრანგეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი მექსიკაში. დე გოლი ოთხი დღის განმავლობაში იყო მექსიკის პრეზიდენტის ლოპეს მატეოსის ოფიციალური სტუმარი.

მეხიკოში გაკეთებული მრავალი განცხადება არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ საფრანგეთის დიპლომატიამ დაიწყო „შეტევა" ამერიკის კონტინენტზე. პარიზი „ეროვნული სიდიადის" დეგოლური პოლიტიკის შესაბამისად გაძლიერებით ეძებს ახალ მოკავშირეებს.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, „გულითადობის ვითარებამ", რომელშიც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ვერ გამოანახვინა მხარეებს საერთო ენა უმნიშვნელოვანეს საკითხში — საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. დე გოლის ვიზიტის დროს მექსიკის სახელმწიფო მღვაწეებმა არაერთხელ მოაგონეს მას თავიანთი ქვეყნის პოზიცია, რომელიც ილაშქრებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.

დე გოლის მოგზაურობამ უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებსაც ლათინური ამერიკა დიდი ხანია თავიანთ სამფლობელოდ მიიჩნიათ. ვაშინგტონში უსაფუძვლოდ როდი ფიქრობენ, რომ პარიზს, რომელიც აძლიერებს ბრძოლას გასაღების ახალი ბაზრებისთვის, განზრახული აქვს უახლოეს წლებში გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული კონკურენტი ამ კონტინენტზე.

მექსიკა მხოლოდ პირველი გამოვლინებაა საფრანგეთის შორსგაჭიზხული გეგმებისა დედამიწის ამ რაიონში: პრეზიდენტ დე გოლს განზრახული აქვს წელს შემოდგომაზე მოიაროს სამხრეთ ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები. ეს მოგზაურობაც ჩაიფლის საფრანგეთისა და ლათინური ამერიკის „თანაშრომლობის განმტკიცების" ნიშნით. (საკდესი).

ამერიკა-ინგლისის დოკუმენტით

ანკარა, 20 მარტი. (საკდესი). აქ დამთავრდა სენტოს პაქტის ეკონომიური კომიტეტის სესია, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა.

გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ სესიის მონაწილეებმა განიხილეს რკინიგზების, ტელეგადაცემათა ხაზების მშენებლობის, თურქეთის, ირანისა და პაკისტანის ტერიტორიებზე ნავსადგურების გაფართოების პროექტები.

როგორც აქ გამოაცხადეს, ამ მიზნით ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუდიდეს ასიგნებანი და „დახმარების" სესხი ამ ქვეყნებს.

ფოტო აჟერპრესს-საკდესისა.

უშიშროების საგზაოზე

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინდელ სხდომაზე გადაწყვიტა გადადოს შემდგომი განხილვა კამბირის გამო ინდოეთ-პაკისტანის დავისა მიმდინარე წლის 5 მაისამდე. ოფიციალური წინადადება, რომ გადადოს, ინდოეთის თხოვნით ამ საკითხის განხილვა, შეიტანა საბჭოს სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა.

რეზიციის მეტალურგიული კომბინატი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შავი მეტალურგიისა და მანქანათსამშენებლო მრეწველობის მსხვილი საწარმოა. ომისშემდგომ წლებში იგი მნიშვნელოვნად გაფართოდა. მისი რეკონსტრუქციის, განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის სახალხო-დემოკრატიულმა სახელმწიფომ დიდი სახსრები გაიღო. საექსპლოატაციოდ გადაცემული ახალი ბრძმედები ყოველწლიურად მეტ თუჯს იძლევიან, ვიდრე ძველი რუმინეთის მთელი მეტალურგიული მრეწველობა იძლეოდა.

სურათზე: № 1 ბრძმედის მეტალურგები.

ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ურთიერთობა

ჟენევა, 20 მარტი. (საკდესი). ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ურთიერთობა ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ეროვნული ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციით,

რეჟისორული ხელოვნება



ქართველი ქალი.

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

პირიმზისა და პირიმთვარისა

ჩვენი კინოს ვარსკვლავები

ყოველ ადამიანს თავისი მისწრაფება აქვს, ზოგს რა იტაცებს, ზოგს — რა...

ჯერ კიდევ პატარა იყო ლია ელიავა, როცა ჩაესახა მსახიობად გახდომის სურვილი. პიონერთა სასახლის დრამატული წრის წევრი გ. ინა სპბავშვო დადგმებში პპოვებდა პირველ სიხარულს.

მიდიოდა წლები. სიმწიფის ატესტატით ხელში მან მოკრძალებით შეაღო რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კარი. ხელოვნების დიდმა სიყვარულმა მიიყვანა აქ იგი.

— ლია შალვას ასული ელიავა—ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიაში ამოიკითხა მალე თავისი გვარი, და მერე რა სიხარული იგრძნო!... ჯერ კიდევ სტუდენტს, ნიჭიერ, მოხდენილ ქალიშვილს ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მესამე კურსიდან მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას და 1955 წელს წარმატებით ამთავრებს მას.

ახალგაზრდა მსახიობის დებიუტი კინოხელოვნებაში დაიწყო რეჟისორ დ. რონდელის სურათით —„ჩრდილი გზაზე". ლია ელიავა ამ ფილმში სოფლის მასწავლებლის — ნინოს როლს ასრულებდა. მისი ნინო თანამედროვე გლეხობის განახლებულ ყოფაცხოვრებასთან შეზრდილი ახალგაზრდა ქალია. კარგად გააზრებული თამაშით მან შესანიშნავად გამოავლინა აქტიორული შესრულებას სისადავე, განცდათა სიწრფელე და წარმოსახვის ზომიერება. განსაკუთრებით ძლიერია იგი ლევანის მიერ მიყენებული ღრმა შეურაცხყოფისა და თავისი ყმაწვილქალური ოცნებების გაცრუების გადმოცემისას. მსახიობი იზრდება მაყურებლის თვალწინ, ემატება შინაგანი ძალა გაალრმავოს გმირის ხასიათი, აქციოს უფრო მნიშვნელოვან მხატვრულ სახედ.

ფილმში „ჩრდილი გზაზე" ლია ელიავამ პირველი გამარჯვება იზეიმა. თანამედროვე ქალი მისი საყვარელი როლი გახდა.

ისევ გადაღებები. რეჟისორმა ლეო ესაკიამ ლია ელიავა მიიწვია „ბაშიაჩუკში" მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც პირიმზისას და პირიმთვარისას როლები შესანიშნავად განასახიერა.

1957 წელს იდგმება ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „ქალის ტვირთი" (რეჟისორი ნ. სანიშვილი), რომელსაც საფუძვლად დაედო მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების რომანი. ლია ელიავა აქ ქეთევან ახატნელის როლს ასრულებს. ქეთევანი არისტოკრატიული წრიდან არის გამოსული, მაგრამ გატაცებულია რევოლუციური საქმით. იგი მზნედ ეწევა თავის ტვირთს, მას თან სდევს გმირის მდიდარი სულიერი ბუნება და შინაგანი კეთილშობილება. ქეთევანი ფილმში გაბედულ და უშიშარ მებრძოლად იქცა, რის შედეგად მან ყანდარმთა როტმისტრი მოკლა. ნიჭიერმა ხელოვანმა აქაც დიდი აქტიორული შესაძლებლობანი გამოამჟღავნა, გამოიჩინა გარდასახვის საუცხოო უნარი და ჰეშმარიტი მომხიბვლელობა.

„კონსული მოდიპარეს"

პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გუშინ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა გიორგი მდივნის კომედიის „კონსული მოიპარეს" პრემიერა. სპექტაკლი დადგა **რეჟისორმა-დიალმანტმა გ. ანთაძემ.** ნხატვრობა ეკუთვნის **მ. მალაზონიას,** მუსიკალური გაფორმება — **ე. მაჭავარიანს.**

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ნ. გომელაური** (ჩეზარე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები **ლ. ანთაძე** (პეპინო), **შ. ქოჩორაძე** (ჩინო), **გ. ლეკვა** (ბიცოლა ანა), მსახიობები **ზ. ლებანიძე** (ლოლა), **რ. ხობუა** (კონსული), **ეკ. ვერულაშვილი** (დანიელა), **ივ. საყვარელიძე** (ანტონიო), **ვლ. ცხვარიაშვილი** (მარიო), **გ. ბერიკაშვილი** (ლეონჯი), **ე. თოფურია** (რაფაელი), **ჯ. გაგნიძე** (კორესპონდენტი), **მ. ბახტაძე** (პოლიციის ინსპექტორი), **ბ. ამაღლობელი** (ფოტორეპორტიორი) და სხვები.

გ. მდივნის პიესის შინაარსს საფუძვლად დაედო იტალიაში ამ ორიოდე წლის წინათ მომხდარი ფაქტი — იტალიელმა ანტიფრანკოელებმა, სოზოგადოებრიობის ყურადღება რომ მიეპყრათ ესპანეთში გამეფებული პოლიტიკური ტეროროსადმი, მოიტაცეს ესპანეთის ვიცე-კონსული მილანში ელიანი. მომტაცებლებმა გაზეთებს ტელეფონით აცნობეს, რომ კონსულს მძევლად იყოლიებდნენ, თანამ, სანამ ფრანკოს მთავრობა არ გაათავისუფლებდა ბარსელონაში დაპატიმრებულ სამ ესპანელ პატრიოტს. ერთ-ერთ მათგანს მისაკილი ჰქონდა სიკვდილი.

პიესაში კომედიურ ფერებში ნაჩვენებია ის, თუ რა მოჰყვა ამ მოტაცებას. მაგრამ საერთო კომედიური, მხიარული ტონი სრულებითაც არ ჩრდილავს სერიოზულ ქვეტექსტს, იდეურ მიზანდასახულებას — უბრალო ადამიანები მზად არიან გაეკეთონ ყველაფერი, თავი გაწირონ, ოღონდ დაიცვან ადამიანთა ღირსება, თავისუფლება, წინააღუდგნენ ომს.

პირიმზის თეთრი ღამეები

ორი წლის წინათ ზელენჩუკის ახლოს მდებარე კოლმეურნეობა „კომუნიზმის დროშის" მწყემსმა მურადინ კაჩკაროვმა ყარა-ყაის მთის მწვერვალზე ომის მრისხანე კვალი აღმოაჩინა: მან ნახა მარუხის ყინულებში მიმოფანტული საბრძოლო იარაღი, გრანატები, ყუმბარები, დაკაფული ჯალზები და ადამიანის ძვლები...

საქმეში სამხედრო ისტორიკოსები ჩაერიენენ. თანდათანობით მოხერხდა იმ გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის ცალკეული ეპიზოდების აღდგენა, რომელიც აქ, ამ ადგილებში 20 წლის წინათ დატრიალდა.

1942 წლის ზაფხულში, დონის როსტოვისა და კრასნოდარის აღების შემდეგ, ფაშისტთა ალპური დივიზიები ჭაღრა კავკასიონს მოადგნენ. მტერი ყოველნაირად ცდილობდა შეუჭრებლივ გადმოელახა მარუხის, სანჭაროს და ქლუხორის უღელტეხილები და საქართველოში შემოსულიყო.

მარუხის უღელტეხილს უტევდა ბავარიის მთიანი რაიონების საუკეთესო სპორტსმენებისაგან შედგენილი მთებში სამოქმედოდ სპეციალურად გაწვრთნილი ეგერთა დივიზია — „ედელეიანი" (მთის ყვავილი). ამ დივიზიის მებრძოლებს მაღალმთიან რაიონებში ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ნორვეგიაში, მაგრამ ამ როლებს შეემატა ცირა (მამლუქი), მუშა გოგონა (,,განაჩენი"). ხელოვნების დიდ შარაგაზე ახე წავიდა წინ ახალგაზრდა კინომსახიობი ქალი. მისმა შესანიშნავმა სცენიურმა მონაცემებმა, როლების გააზრების სიღრმემ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. სხვადასხვა დროს მას იწვევენ ლენინგრადის კინოსტუდიაში ფილმ „ირისტონის შვილში" მონაწილეობისათვის, რომელიც გამოჩენილი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის იუბილეს მიეძღვნა, მოსფილმის სატელევიზიო დადგმაში „საღამო მშვიდობისა". (რეჟისორი ა. ვოიაზოსი). ლია აქ ბერძენი ქალის ანას როლს ასრულებს. შემდეგ ფილმ „ჰიაკოკონაში" (რეჟისორი ი. ქავთარაძე) ირმას თამაშობს.

საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი სურათი „შეწყვეტილი სიმღერა" (რეჟისორი ნ. სანიშვილი). სურათს საფუძვლად დაედო ქართველი ექიმი ქალისა და სლოვაკი მეომრის სიყვარულისა და მეგობრობის ამბავი. ლია ელიავამ ამ ფილმში სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, ქართველი ექიმი ქალის ელიკო გელოვანის როლი განასახიერა. მას პარტნიორობას-უწევს შესანიშნავი ჩეხი მსახიობი იოლიუს პანტიკი (მიშო ზვარას როლში).

ფილმის წარმატების ხაფუძველი გახდა ჩეხოსლოვაკელ და ქართველ მსახიობთა შესანიშნავი თამაში.

ჩეხოსლოვაკიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა კინოფილმ „შეწყვეტილ სიმღერას" და ჩეხოსლოვაკია-საქართველოს ურღვევი მეგობრობის სიმბოლო უწოდა.

ბრატისლავის კინოსტუდიამ „კოლბას" სპპატო წიგნში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ ჩაწერა თავისი აზრი ამ „მეგობრობის კინოფილმზე":

„ეს კინოსურათი მეტად ღრმად, ემოციურად მოქმედებს მნახველზე. ამ თემაზე შექმნილ არცერთ ჩეხოსლოვაკურ ფილმს არ უმოქმედია ამგვარად.. შეუძლებელია კაცმა დაივიწყოს, რა შესანიშნავად ასრულებენ როლებს იულიუს პანტიკი, ლია ელიავა და მეტადრე ვერიკო ანჯაფარიძე".

„შეწყვეტილ სიმღერაში" მონაწილეობა ლია ელიავას ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. მან ამ სურათში ნათელყო, რომ მის მიერ შექმნილ სახეებს გააჩნიათ მკვეთრი ინდივიდუალობა და ხასიათების გადმოცემის განუმეორებელი საღებავები.

მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალში ლია ელიავაც იღებდა მონაწილეობას. ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები ყოველდღე ახალ მეგობრებს იძენდნენ, გულთბილი შეხვედრები ჰქონდათ ერთმანეთთან. აქ შეხვდა იგი ცნობილ არგენტინელ მსახიობს ლოლიტა ტორრესს, ფრანგ მსახიობს სიმონა სინიორეს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლიაზე გამოჩენილმა იტალიელმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ, რომლის ფილმმა „რვანახევარი" ფესტივალის დიდი პრიზი დაიმსახურა. ფელინიმ გაიცნო ლია ელიავა და მასთან ნამახსოვრო სურათიც გადაიღო.

კინომსახიობი ქალი ჩვენი ქვეყნის უველა კუთხიდან სისტემატურად იღებს მაყურებელთა წერილებს, რომელთა ავტორებს სურთ გაიგონ მათი საყვარელი მსახიობის შემოქმედებითი გზები, მომავლის პერსპექტივები, გამოთქვამენ თავიანთ აზრებს სხვადასხვა ფილმებში მის მიერ შექმნილი სახეების გამო. უცხოელი მეგობრებიც არ ივიწყებენ მას.

ლია ელიავას დებიუტი ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრშია. კინოში მუშაობასთან ერთად იგი თეატრსაც ეწვია და პირველი გამარჯვება აქაც იზეიმა. ლია „ნოველების სალამოში" მონაწილეობს და მომხიბლავად თამაშობს ო. გობრონიძის „თეთრ ლაქაში". აგრეთვე ემზადება ფილმში „ზღვის შვილები" (რეჟისორი ნ. პიპინაშვილი) ახალი სახის, ახალი როლის შესაქმნელად.

ასე გაიზარდა, წინ წავიდა ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედება.

ცნობილმა ქართველმა კინომსახიობმა ლია ელიავამ ეკრანზე შექმნა მრავალი შესანიშნავი, ღრმადადამიანური სახე, ქალთა სინტერესო ტიპები, დღევანდელი დღის გმირები, რომელებმაც მაყურებელთა აღიარება ჰპოვეს. მაგრამ მისი ნიჭის, მისი შინაგანი ძალის ამსახველი ახალი უკეთესი როლი— ჯერ კიდევ წინ არის.

ეთერ ჯაფარიძე.

სურათზე: წინა პლანზე, მარცხნიდან მარჯვნივ — ლია ელიავა და იტალიელი კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებთან ერთად.

მარუხის თეთრი ღამეები

ოცდა მომღერლის ძლიერი ხმა შეხამებულია ნიჭთან და ახალგაზრდობასთან, შთაბეჭდილება მთლიანი და დასამახსოვრებელი იქმნება. საბჭოთა კავშირის მომღერალთა ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთმა საუკეთესო ვოკალისტმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ლარისა ნიკიტინამ ჯერ კიდევ გასულ სეზონში ალტაცებაში მოიყვანა ჩვენი მაყურებელი თავისი საუცხოო ხმით, ახლა მომღერალი გამოვიდა აზუჩენას და ამნერისის პარტიებში ჯ. ვერდის ოპერებში „ტრუბადურსა" და „აიდაში" და კვლავ გაგვაბარა თავისი მაღალი ოსტატობით.

აზუჩენას პარტიას ლ. ნიკიტინა ამუშავებდა იტალიაში, სადაც თავის ოსტატობას სრულყოფდა მილანის თეატრ „ლა სკალაში". ალბათ ამიტომ მან ჩვენს სცენაზეც ეს პარტია იტალიურ ენაზე შეასრულა. ლ. ნიკიტინას აზუჩენა იმდენად მკაფიო და კოლორიტულია, რომ უნებურად გაგონდებათ ვერდი, რომელიც „ტრუბადურის" შექმნისას ფიქრობდა ოპერისათვის „აზუჩენა" დაერქმია, იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პერსონაჟს.

ლ. ნიკიტინა ისე ბრწყინვალედ ასრულებს ამ პარტიას, რომ იგი, ლეონორას და აღინიშნოს, რომ მოთხრობაში აღწერილი ამბავი მხოლოდ საშუალებაა ავტორის ხელში — მოგვცეს ჩვენი დროის საბჭოთა ადამიანების მასობრივი გმირობის ფართო განზოგადებული სურათი.

ავტორი ოსტატობით გადმოგვცემს ღრუბლებს ზემოთ, მიუვალ ყინულებში გამართული ბრძოლის ეპიზოდებს. რევაზ ჯაფარიძემ თვით განვლო სამამულო ომის დიდი გზა. მწერალი კარგად იცნობს ფრონტის ცხოვრებას და მებრძოლთა სულის სიღრმეში ჩაწვდომის ძალით გვიხატავს თავის თანამედროვეთა მაღალ მორალურ თვისებებს, სულიერ სიმტკიცესა და ურყევ ნებისყოფას. ვინც ფრონტზე ყოფილა და მონაწილეობა მიუღია ვერაგ მტერთან გამართულ ცხარე ბრძოლებში, მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს, რამდენად მართლად და ხელშეყველს ურღვევი მეგობრობის სიმბოლო უწოდა.

ბრატისლავის „კინოსტუდიამ „კოლბას" სპპატო წიგნში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ ჩაწერა თავისი აზრი ამ „მეგობრობის კინოფილმზე":

„ეს კინოსურათი მეტად ღრმად, ემოციურად მოქმედებს მნახველზე. ამ თემაზე შექმნილ არცერთ ჩეხოსლოვაკურ ფილმს არ უმოქმედია ამგვარად.. შეუძლებელია კაცმა დაივიწყოს, რა შესანიშნავად ასრულებენ როლებს იულიუს პანტიკი, ლია ელიავა და მეტადრე ვერიკო ანჯაფარიძე".

„შეწყვეტილ სიმღერაში" მონაწილეობა ლია ელიავას ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. მან ამ სურათში ნათელყო, რომ მის მიერ შექმნილ სახეებს გააჩნიათ მკვეთრი ინდივიდუალობა და ხასიათების გადმოცემის განუმეორებელი საღებავები.

მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალში ლია ელიავაც იღებდა მონაწილეობას. ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები ყოველდღე ახალ მეგობრებს იძენდნენ, გულთბილი შეხვედრები ჰქონდათ ერთმანეთთან. აქ შეხვდა იგი ცნობილ არგენტინელ მსახიობს ლოლიტა ტორრესს, ფრანგ მსახიობს სიმონა სინიორეს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლიაზე გამოჩენილმა იტალიელმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ, რომლის ფილმმა „რვანახევარი" ფესტივალის დიდი პრიზი დაიმსახურა. ფელინიმ გაიცნო ლია ელიავა და მასთან ნამახსოვრო სურათიც გადაიღო.

,,ბაშიაჩუკი"

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ,,ბაშიაჩუკი" ,,ბაშიაჩუკ" ,,ბაშიაჩუკ" ,,ბაშიაჩუკ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ავტომშენებელთა ახალმოსახლეობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქართული ავტომობილის შემქმნელთა დაბა ფაქტიურად მეორე ქალაქია ქალაქში. აქ ყოველდღიურად სახლს სახლი ემატება. ახლა ავტომშენებელთა განკარგულებაშია 120 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამ დღეებში მუშათა დაბაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ხუთი მრავალსართულიანი სახლი, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 5.800 კვადრატული მეტრია.

ახალ სახლში 3-ოთახიანი ბინა მიიღო სამჭედლო საამქროს მოწინავე ოსტატმა ს. თოდაძემ. ახალმოსახლეობა იზეიმეს აგრეთვე № 1 სამსხმელო საამქროს ლითონმსხმელმა დ. ბალავაძემ, სარემონტო-მექანიკური საამქროს კბილანმჭრელმა გ. ოშხერელმა და სხვებმა.

„საქართველოს აგიტატორი" № 6

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს აგიტატორი" № 6. ნომერში მოთავსებულია: „სოფლის აგიტატორები ახალი, დიდი ამოცანების წინაშე", ი. ტაბიძის — „ინტენსიფიკაცია — აი დაბამაიაკოვსკელ აგიტატორთა მთავარი საზრუნავი"; გ. გორბატენკოს — „კომპლექსური ბრიგადა — ყოველივე ახლის, პროგრესულისათვის მებრძოლი"; ა. მენაღარიშვილის — „როგორ გამოვიყენოთ მინერალური სასუქები მიწათმოქმედებაში"; დ. გეგეშიძის — „ათეისტური მუშაობა და აგიტკოლექტივი"; შ. კუჭუხიძის — „ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა" და სხვ.

კლარა ცეტკინი იყო ჭიათურაში

გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლარა ცეტკინის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რვა მარტის დღესასწაულთან.

ბუნებრივია, რომ ამ მგზნებარე რევოლუციონერი ქალის სახელს მთელი მსოფლიო იცნობდა. იგი უსაზღვროდ უყვარდათ ჭიათურელ მშრომელებსაც...

ეს ამბავი ორმოცი წლის წინათ მოხდა. 1924 წლის ოქტომბერში თბილისს ესტუმრა კლარა ცეტკინი. ჭიათურელებს გადაუწყვეტიათ მისი ჭიათურაში მოწვევა. ჭიათურიდან თბილისს გამგზავრებულან პარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე მარო ჩიტიშვილი და კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი კ. გვანცელაძე.

კლარა ცეტკინს ჭიათურელთა თხოვნაზე თანხმობა გამოუთქვამს და ხუთ ოქტომბერს სწვევია მარგანეცის ქალაქს. ჭიათურის ბევრ მკვიდრს შესანიშნავად ახსოვს გამოჩენილი რევოლუციონერი ქალის სტუმრობა. მასთან მშრომელთა მხურვალე და გულთბილ შეხვედრებს კარგად იგონებს ძველი კომკავშირელი კ. ღვალაძე.

კლარა ცეტკინის ჭიათურაში ყოფნაზე კომკავშირის შორაპნის სამაზრო და ჭიათურის რაიონული კომიტეტების ორგანო გაზეთ „ახალგაზრდა მაღაროელში" დაბეჭდილია აკ. მახათაძის წერილი სათაურით — „საყვარელი სტუმარი ჭიათურაში".

კლარა ცეტკინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ხალხმრავალი მიტინგი გამართულა. მას მხურვალედ მისალმებიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კლარა ცეტკინს გაუკეთებია შინაარსიანი მოხსენება — „მსოფლიო კომპარტიისა და კომკავშირის მდგომარეობის შესახებ".

მიტინგის დასასრულ ცნობილი ლოტბარის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით მაღაროელთა ნაკრებ გუნდს შეუსრულებია „მარსელიოზა" და „ინტერნაციონალი". ეს სიმღერები სტუმარს ისე მოსწონებია, რომ გუნდს რამდენჯერმე გაუმეორებია.

ამ შეხვედრის დამსწრენი გადმოგვცემენ, რომ ძვირფასი სტუმარი ახალგაზრდებმა დიდი ოვაციით გააცილეს რკინიგზის სადგურამდე. კლარა ცეტკინს გულითადი მადლობა გადაუხდია გულთბილი და სტუმართმოყვარული მიღებისათვის.

მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რევოლუციონერი ქალის სტუმრობა საუცხოოდ ახსოვთ მარგანეცის ქალაქის მშრომელებს. მის სპეტაკ სახელს მოწიწებით იგონებენ დღესაც.

პ. ჭიოკაძე.

ულტრაბგერა ადუღებს პლასტმასებს



სიახლე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

სახალხო მეურნეობის რომელი დარგიც უნდა ავიღოთ, ყველგან იყენებენ ახლა ადამიანის ამ მძლავრ თანაშემწეს— ულტრაბგერას.

ულტრაბგერით შეიძლება დავჭრათ ქვა და რკინა, მისი საშუალებით შეიძლება შევამოწმოთ ლითონის ნაწარმის ხარისხი, დავაჩქაროთ ქსოვილის შეღებვა, ღვინის დადუღება, ულტრაბგერა შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის ზოგი სენის განსაკურნავად, მცენარეთა განვითარების დასაჩქარებლად.

ულტრაბგერის როლი ლითონთა შედუღებაში ის არის, რომ მისი საშუალებით ხდება მაღალი სიხშირის მექანიკური რხევათა გარდაქმნა თბურ ენერგიად. ულტრაბგერა ერთმანეთთან აერთებს ისეთ სულ სხვადასხვა ხასიათის ლითონებს, რომლებიც წინათ არ შეიძლებოდა ერთმანეთთან შეგვედუღებინა. ულტრაბგერით ახლა სხვადასხვა ხასიათის ლითონთა გარდა პლასტმასების შედუღებაც შეიძლება.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მანქანათმშენებლობის პავილიონში მოწყობილია თემატიკური გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს მრეწველობაში ულტრაბგერის გამოყენების შესახებ. აქ ნაჩვენებია, თუ რა დიდი შრომის გაწევა დასჭირდათ მინსკის სატრაქტორო ქარხანაში იმისათვის, რომ ტრაქტორ „ბელარუსის" ქუროებისა და სხვა დეტალებისაგან მოეცილებინათ მინაწვავი ზეთი და მარილები, ეს დეტალები გაეწმინდათ წარმოების პროცესების მსვლელობაში მიტმასნილი ჭუჭყისაგან. ვერც გარეცხვით, ვერც ქიმიური საშუალებებით ვერ მიაღწიეს მინსკელმა ტრაქტორმშენებლებმა სასურველ შედეგს.

ულტრაბგერის გამოყენებამ რადიკალურად უშველა საქმეს. ამ საშუალების გამოყენებით დეტალების გაწმენდა გაადვილდა, შრომის ნაყოფიერება 6-8-ჯერ გაიზარდა, დიდად ამაღლდა შრომის კულტურა.

მაჭარი სანამ დაღვინდებოდეს და სუფრაზე მისატანად მზიფობის სათანადო დონეს მიაღწევდეს, გარდაქმნის მრავალ სტადიას განიცდის. ერთი ამ სტადიათაგანია ღვინის დაწმენდა, გამჭვირვალე მდგომარეობამდე მისვლა. ამას ჩვეულებრივად სჭირდება 12-დან 24-მდე დღეღამე. ახლა კი ამ პროცესს მხოლოდ 2 საათი სჭირდება. ამ საქმეში მეღვინეს ულტრაბგერა დაეხმარა. ზემოთ დასახელებულ თემატიკურ გამოფენაზე წარმოდგენილია ღვინის დასაწმენდი ულტრაბგერის დანადგარი, რომელიც პირველად მთელ მსოფლიოში ოდესის ღვინის ქარხანაში ამუშავდა.

ამჟამად უკვე დამუშავებულია ულტრაბგერითი დანადგარების გამოყენების მეთოდიკა საერთოდ სახალხო კვების მრეწველობაში— პურის ცხობაში, საკონდიტრო საწარმოებში, ტომატის პასტის ჰომოგენიზაციისათვის, ჭარხლის წვნის დიფუზიის დასაჩქარებლად შაქრის მრეწველობაში და ა. შ. ულტრაბგერის საშუალებით ხდება რძის პასტერიზაცია და სტერილიზაცია, შაქრის კრისტალიზაცია, ცხოველთა ნაკვებობის ზომის გამორკვევა, ახლად ამოყვანილი ყველისა და ახალი ღვინის დაძველება. ულტრაბგერას იყენებენ სამკურნალო პრაქტიკაში ტკივილების გასაყუჩებლად, რადიკულიტის, იშიასის, ნევრალგიის, ფურუნკულების, მთელ რიგ სხვა დაავადებათა მკურნალობისას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკურნალ-მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შორის ახალი დიაგნოსტიკური ულტრაბგერითი აპარატი „უზდ-4", რომლის საშუალებით შეიძლება ადამიანის ორგანიზმში სიმსივნისა და სხვა პათოლოგიურ ცვლილებათა აღმოჩენა და ზუსტი დიაგნოზის დასმა. რენტგენის აპარატთან შედარებით ულტრაბგერის აპარატს ბევრი უპირატესობა აქვს. იგი უზრუნველყოფს ავთვისებიან სიმსივნეთა ადრეულ დიაგნოზს.

გამოფენაზე წარმოდგენილია ქიმიკოსებისათვის საჭირო ულტრაბგერითი აპარატურა, სამრეწველო პროცესების ავტომატური რეგულირების, ლაბორატორიული დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტების წარმოების, ნივთიერებათა სიმკვრივის გამომკვლევი, მოლეკულათა საწონი და მთელი რიგი სხვა დანიშნულების ულტრაბგერითი აპარატები და ხელსაწყოები.

მანქანათმშენებლობის პავილიონში მოწყობილი თემატიკური გამოფენის დათვალიერებელი დარწმუნდება, რომ ულტრაბგერის პრაქტიკულად გამოყენება განისაზღვრება არა მარტო იმით, რაც ზემოთ ვთქვით, არამედ ეს არე უფრო ფართოა, რომ ულტრაბგერას მართლაც დიდი მომავალი აქვს და იგი ადამიანის მძლავრი თანაშემწის ადგილს იკავებს.

მ. ლარკინი.

პენსიები კოლმეურნეებს

ზნაური. (საკ. კორ.). სოფელ კეხვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ხანდაზმულ კოლმეურნეთათვის პენსიების დანიშვნის საკითხი იდგა. 86 წლის ილო ჯიოშვილმა დიდი ამაგი დასდო მშობლიურ კოლმეურნეობას. კეხველებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გამგეობის წინადადებას მისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ. პენსიები დაუნიშნეს აგრეთვე მოხუცებს — სიკა ზოზიაშვილს, მიტო რაზმაძესა და სხვებს.

ხანდაზმულობის გამო პენსიები დაენიშნა აგრეთვე სოფლების ავნევისა და თიღვის კოლმეურნეობათა რამდენიმე ამაგდარ წევრს.



თბილისი. ბალნეოლოგიური კურორტი. ფოტო ა. არუტიუნოვისა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები
22 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — შჩელკუნჩიკი (დღისით), ლაურენსია (საღამოს, მე-13 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — მეტეხის ჩრდილში (დღისით, მე-2 აბონ. მე-5 წარმოდგენა), ვახშმობის წინ (საღამოს, აბონ. გარეშე), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჰინჩრაქა (დღისით, აბონ. გარეშე), ვიქტორ მერჟანოვის (ფორტეპიანო) კონცერტი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კონსულ'ი მოიპარეს (დღისით, 25-ე აბონ. მე-4 წარმოდგენა), საღამოს, მე-8 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (დღისით და საღამოს აბონ. გარეშე), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** (ძერჟინსკის სახელობის კლუბის შენობაში) — ჩექმებიანი კატა (აბონ. № 23, 2 ს. და 30 წ.).

ტელევიზია
23 მარტი

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „პალიასტომი"; 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „დავისვენოთ შინაარსიანად", 18.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი „თოჯინების სამყაროში", 18.40 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები", 18.55 — კინონარკვევი „მშობლიური საქმე", 19.05 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.25 — სპორტული გადაცემა, 20.40 — კამერული მუსიკის კონცერტი, 21.05 — მხატვრული ფილმი „ორთაბრძოლა" (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 22.40 — ახალი ამბები.

24 მარტი

12.00 — კონცერტი — „მეგობრული შეხვედრა", ტრანსლაცია მე-9 მუსიკალური სკოლიდან, 12.45 — კინონარკვევი „შორეულ ქვეყნებში", 13.00 — მხატვრული ფილმი „პირადად ცნობილია", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", ნახატი ფილმი „ალიონუშკა", 18.15 — მოსწავლეთათვის — კინონარკვევი „ახალი ქალაქის ბავშვები", 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — განცხადებები, 19.10 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი „ირმის ნახტომი", 19.25 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „მოწინავე გამოცდილების სკოლა". 19.40 — საოპერო მუსიკა, 22.20 — ახალი ამბები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

დღის წარმოდგენები მოსწავლეთათვის

კვირას, 22 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
შჩელკუნჩიკი

სამშაბათს, 24 მარტს
ზ. ფალიაშვილი
დაისი

ოთხშაბათს, 25 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
შჩელკუნჩიკი

ხუთშაბათს, 26 მარტს
ა. ბუკია
დაუპატიჟებელი სტუმრები

პარასკევს, 27 მარტს
ვ. გოკიელი
წითელქუდა

შაბათს, 28 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
შჩელკუნჩიკი

კვირას, 29 მარტს
ა. დარგომიჟსკი
ალი

ორშაბათს, 30 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
მძინარე მზეთუნახავი

სამშაბათს, 31 მარტს
ვ. გოკიელი
წითელქუდა.

დასაწყისი დღის 11 ს. და 30 წ.
ბილეთები იყიდება.

რედაქტორის მოადგილე ვ. ვარდოსანიძე.

• ბუნება და ჯანმრთელობა •

სამკურნალო წყალი ლუგელა

ლუგელას მინერალური წყლის გამოსავალი მდინარე ხობის წყლის ხეობაშია, ზუგდიდის რაიონის სოფელ ლუგელას ტერიტორიაზე. რკინიგზის სადგურ მიხა ცხაკაიას ლუგელა დაშორებულია 45 კილომეტრით. მინერალურ წყლებამდე საავტომობილო გზა მიდის.

ლუგელას (მუხურის) წყალი შორეული წარსულიდან იხმარებოდა სამკურნალოდ როგორც ადგილზე, ისე მნიშვნელოვან დაშორებულ რაიონებშიც. წყალს იყენებდნენ უმთავრესად კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სამკურნალო წყალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ სამეგრელოსა და მის მეზობელ რაიონებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არავის მოსვლია აზრად მისი თვისებების შესწავლა.

ლუგელას მინერალური წყალი პირველად გამოიკვლია ქიმიკოსმა რ. კუპცისმა და ანალიზი გამოაქვეყნა 1929 წელს.

1932 წელს კი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დავალებით განმეორებითი ანალიზები გააკეთეს პროფ. ი. ქუთათელაძემ და მისმა თანამშრომლებმა.

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის დავალებით 1934 წელს ინჟინერ-გეოლოგმა ს. ჩიხელიძემ ადგილზე გამოიკვლია მინერალური წყლის გამოსავალი.

1934 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დადგენილებით ლუგელას მინერალური წყლის შესწავლა დაევალა კურორტოლოგიის ინსტიტუტს, ხოლო სამუშაოთა დაფინანსება მთავარ სააფთიაქო სამმართველოს. აღნიშნული დადგენილების თანახმად იმავე წელს ადგილზე გაიგზავნა ექსპედიცია დოც. ჩიხელიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეძლო გამოევლინებინა წყლის ახალი გამოსავლები და დღეღამის დებიტის გადიდება 500 ლიტრიდან 1.200 ლიტრამდე.

ამავე ექსპედიციამ 1935 წელს ჰიდროგეოლოგიურ-ბურღვითი სამუშაოების შედეგად გაადიდა მინერალური წყლის დებიტი 1.200 ლიტრიდან 22.000 ლიტრამდე დღეღამეში, რამაც საფუძველი შეუქმნა ლუგელას მინერალური წყლის სამრეწველო ექსპლოატაციას. 1936 წლის სამუშაოთა შედეგად აღმოჩენილ იქნა ლუგელას მინერალური წყლის ხუთი გამოსავალი.

ქიმიური შემადგენლობით ლუგელას მინერალური წყალი მიეკუთვნება მაღალი მინერალიზაციის მქონე ქლორ-კალციუმიან წყლებს. ბუნებრივი შემადგენლობით ლუგელას წყალი შეეფარდება კრისტალური ქლორკალციუმის 9,5-პროცენტიან ხსნარს, ე. ი. ისეთ ხსნარს, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ სამკურნალო პრაქტიკაში. სხვა შემადგენელი ელემენტებიდან ლუგელას წყალი სამკურნალო თვალსაზრისით სასარგებლო რაოდენობით შეიცავს ბრომს, იოდს, ფლორს, მაგნიუმს, კალციუმს, ნატრიუმს და სხვ.

სწორედ ამის გამო 1945 წელს სამეცნიერო საბჭომ უნიკალურად ცნო იგი და დაადგინა მისი ფარმაკოპეიაში შეტანა პრაქტიკაში ფართოდ გამოყენების მიზნით.

ლუგელას მინერალური წყლის ფარმაკოლოგიურ-სამკურნალო თვისებების შესწავლა მრავალი წლის განმავლობაში წარმოებდა და ახლაც გრძელდება ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების კათედრებზე და კლინიკებში, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და სამკურნალო დაწესებულებებში.

ქიმიკოსთა (რ. კუპცისი, დოც. ვ. ხუხია, პროფ. დ. ერისთავი და სხვ.) დაკვირვებებით დადგინდა ლუგელას წყლის ქიმიური შემადგენლობის მუდმივობა.

მთელი რიგი ავტორების მიერ რეკომენდებულია „ლუგელას" უპირატესობა ქლორკალციუმის 9,5-პროცენტიან ხსნართან შედარებით, მასში ქლორკალციუმთან ერთად სხვა შემადგენელი ელემენტების არსებობის და მისი მეტი შეწოვითი თვისებების გამო.

დაკვირვებათა საფუძველზე მინერალურ წყალ „ლუგელას" მნიშვნელოვანი უპირატესობით იყენებენ ყველა იმ დაავადებათა სამკურნალოდ, სადაც ნაჩვენებია ქლორ-კალციუმის ხელოვნური ხსნარი. ასეთი დაავადებებია ფილტვების, ლიმფური ჯირკვლების, ძვლების, სახსრების ტუბერკულოზი. ექსუდატური და მშრალი პლევრიტი, პოლისეროზიტები, ბრონქული ასთმა, თირკმლების ანთებითი პროცესები შარდში სისხლის გამოყოფით, გულყრის ზოგიერთი ფორმები, სახსრების ანთებითი პროცესები, კანის ზოგიერთი დაავადებანი, ნერვული სისტემის ზოგიერთი ფუნქციური დაავადებანი, კუჭის კატარები კუჭის წვენის მომატებული და დაქვეითებული მჟავეობით, ორგანიზმის ალერგიული დაავადებანი და სხვ.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად გამოიყო ლუგელას საკურორტო ზონა და საქართველოს მინერალური წყლების ტრესტმა მოაწყო ჩამოსხმა და სააფთიაქო სამმართველოს საშუალებით როგორც საქართველოს, ისე მთელი საბჭოთა კავშირის სააფთიაქო ქსელის მომარაგება.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის ეს მნიშვნელოვანი სამკურნალო სიმდიდრე, მისი მოპოვების მიზნით გაწეული უამრავი შრომისა და ფინანსური ხარჯების შედეგები ჯეროვნად არ არის გამოყენებული.

საჭიროა ერთხელ კიდევ მოვაგონოთ საექიმო საზოგადოებას და სააფთიაქო ქსელს ლუგელას მინერალური წყლის ხმარების უპირატესობა და მიზანშეწონილობა იმ შემთხვევებში, როდესაც ნაჩვენებია ქლორ-კალციუმის ხსნარის გამოყენება.

კ. გორჯაძე,
მ. ნოდია.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ფიზიოთერაპევტი-კურორტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოლიმპიური ნაკრები ახალ სეზონში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებს წელს მეტად პასუხსაგები შეხვედრები მოელის.

ამ პასუხსაგებ მატჩებამდე გუნდი განაგრძობს წვრთნას, რომლის პროგრამაში შედის აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებები. დადგენილია ჩვენი ოლიმპიელების მატჩების კალენდარი ბულგარეთის ოლიმპიელებთან და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ეს თამაშები შედგება 24 და 31 მაისს მოსკოვში. საბჭოთა ფეხბურთელებს ორი შეხვედრა ექნებათ აგრეთვე დანიის უძლიერეს საკლუბო გუნდებთან.

მორიგ შესარჩევ მატჩს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გამართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრაში გამარჯვებულთან. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მომავალ მეტოქეებს შესთავაზა ასეთი კალენდარი — 11 ივნისს მოწინააღმდეგის მოედანზე, 27 ივნისს — მოსკოვში.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი

ლენინგრადში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის სპორტსმენთა მონაწილეობით.

წარმატებით გამოვიდა მოსკოველი მოსწავლე ზ. რუდნოვა, რომელმაც ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო უნგრეთის წარმომადგენელი ი. ფაზაზი. მეორე ადგილი დაიკავეს ლ. ბალაიშიტემ (ლიტვა) და ზ. ლეშკემ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

კალათბურთი

ჩემპიონი გამოვლინდა

ჯერ კიდევ თბილისის ტურნირის პირველ დღეებში, როდესაც ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა დაამარცხა მთავარი მეტოქეები — კიევის „სტროიტელი" და რიგის სკა, ცხადი გახდა, რომ მოსკოველებს უკვე „დაჯავშნული" ჰქონდათ პირველი ადგილი. მაგრამ არსებობდა კიდევ რაღაც — რეალობას მოკლებული თეორიული შანსები, რაც იშვიათად მართლდება სპორტში, და აი, გუშინ ისიც გაქრა — არმიელმა კალათბურთელებმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს აქტივში და საკავშირო პირველობის ფინიშამდე ორი ტურით ადრე ჩემპიონობა მოიპოვეს.

გუშინდელი გამარჯვება რიგის ვეფ-თან (71:59) ცსკა-ს მეცხრამეტე წარმატება, ანუ მეცხრამეტე ქულა იყო, რაც სხვა კოლექტივებისათვის მიუწვდომელია. მათ მხოლოდ მომდევნო ადგილებზე უნდა იზრუნონ. ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა რიგის სკა-ს, კიევის „სტროიტელისა" და თბილისის „დინამოს" მეტოქეობა მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისათვის.

რიგელმა კალათბურთელებმა გუშინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ, დაამარცხეს მოსკოვის „დინამო" ანგარიშით 68:55. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (მინსკი)-სკა (ლენინგრადი) 80:70, „სპარტაკი" (ლენინგრადი)-„კალევი" (ტარტუ) 61:76, „ჟალგირისი" (კაუნასი)-სკა (კიევი) 65:67.

მეთხზე ტურის ცენტრალურ ასპარეზობას კიევის „სტროიტელისა" და თბილისის „დინამოს" ორთაბრძოლა წარმოადგენდა. ბუნებრივია, მეტოქეებმა გამოიყვანეს თავიანთი საუკეთესო ხუთეულები. დინამოელებმა — მინაშვილის, ლეჟავას, ალთაბაევის, უგრეხელიძისა და მოსეშვილის შემადგენლობით კარგად ააწყვეს თამაში და ზედიზედ მიჰქონდათ იერიშები მოწინააღმდეგის ფარზე. ანგარიში მოსეშვილმა გახსნა, შემდეგ კი უგრეხელიძემ გაზარდა იგი — 4:0. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თბილისელები დიდხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას 6-7 ქულის სხვაობით. ერთ მომენტში ყურადღების ოდნავ მოდუნება დინამოელებს ძვირად დაუჯდათ, მალე იგი პანიკაში გადაიზარდა, რამაც კიეველებს წინ გასვლის საშუალება მისცა. „სტროიტელმა" ტაიმი მოიგო 36:30.

მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამწვავდა, დინამოელები ბევრს სცოდავდნენ საჯარიმო ტყორცნებში, ფარქვეშ ბრძოლაში და დამარცხდნენ ანგარიშით 67:69.

დღეს გაიმართება მორიგი ტურის მატჩები.

„რუდე პრავოს" ანკეტა

ახლახან ჩეხოსლოვაკიაში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება ხელბურთში (7×7) ვაჟთა გუნდებისათვის.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში პატარა ბურთის სხვა ოსტატებთან ერთად იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები ჯ. ცერცვაძე და ჯ. აბაიშვილი, რომელთა მაღალტექნიკურმა ბრძოლამ საერთო აღიარება ჰპოვა.

ჩემპიონატს ესწრებოდნენ მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხის ხელბურთის სპეციალისტები, ჟურნალისტები, სპორტული მიმომხილველები. ჩეხოსლოვაკიის გაზეთმა „რუდე პრავომ" მოაწყო ამ სპეციალისტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვა მსოფლიოს ნაკრების დასაკომპლექტებლად.

აი როგორ გამოიყურება გამოკითხვის მიხედვით მსოფლიოს ნაკრები: მეკარეები — არნოშტი (ჩეხოსლოვაკია), აბაიშვილი (თბილისი); მოედნის მოთამაშეები — მოზერი, ივანესკუ (რუმინეთი), იონსონი (შვეცია), ლებედევი (მოსკოვი), ფენიო (უნგრეთი), მარეში (ჩეხოსლოვაკია), ჟაკმაისტერი (იუგოსლავია), გონსენი, პეტერსონი (დანია).

ტურნე შვეციაში

შვეციაში ტურნეს მართავენ მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ტ. პეტროსიანი და გროსმაისტერი ა. ლილიენტალი. სტოკჰოლმში ტ. პეტროსიანმა გამართა ოთხი ერთდროული თამაშის სეანსი 89 დაფაზე. მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო 78 პარტია, 8 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 3 შეხვედრა წააგო.

საბჭოთა გროსმაისტერები ეწვივნენ შვეციის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების საწარმოებს, სადაც წაიკითხეს ლექციები.

სპორტული ქრონიკა

☐ **უკანასკნელმა** მეოთხედფინალურმა მატჩმა ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიის „დუკლსა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის „ბორუსიას" გუნდებს შორის გამოავლინა კიდევ ერთი ნახევარფინალისტი. ეს გუნდია „ბორუსია". ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე მილანის „ინტერნაციონალე", მადრიდის „რეალი" და შვეიცარიის „ციურიხი".

☐ **დღეს** იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში იწყება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მოჭადრაკეები გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი და ოსტატი ე. გუფელდი. ტურნირი 9 აპრილამდე გაგრძელდება.



ფელეტონი

გიას გაკვეთილების ცხრილს კედლის თითქმის ნახევარი უჭირავს.

გია გულმოდგინედ მეცადინეობს, საზეპიროს — იზეპირებს, საკითხავს — კითხულობს, ხატავს, ჭრის, ღებავს... ერთი სიტყვით, „მოსწავლის შინაგანაწესის" ყველა მუხლს პირნათლად ასრულებს.

გიას დღიური დიდი სიზუსტით აღნუსხავს დავალებებს.

1) ქართული ენა — „თხა და ვენახი" — „მოდი ვნახოთ უანგამდე" — ზეპირად. კითხვით — ბოლომდე.

2) რუსული ენა — „გვოზდ".

3) არითმეტიკა — ათ ჩხირს მივუმატოთ სამი ჩხირი...

და გიაც არ ზოგავს თავს, შრომობს, ილვწის და იზრდება.

„სწავლის ძირი რომ მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო" — ამის შესახებ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მოგვახსენა დავით გურამიშვილმა, მაგრამ კენწეროც არის და კენწეროც...

სამწუხაროა, რომ ჯერ არავის არ განუსაზღვრავს ამ კენწეროს სიმაღლე და კენწეროსაკენ სვლის ტემპი.

გია სწავლას იწყებს რვა საათზე და ოცდაათ წუთზე.

„გია!" — პირველად რვის ნახევარზე დაიძახებს დედა-მაღვიძარა. „გია. გიას" ძახილი გრძელდება არანაკლებ 20 წუთისა.

გიას უყვარს სკოლაში ყოფნა. უყვარს, როცა შესვენებაზე დერეფანში გამოიშლებიან და თამაშს დაიწყებენ. განსაკუთრებით უყვარს, როცა სკოლის დერეფანში საგანგებოდ გამოყოფილი „მორიგე მშობელი" არ ესხმის თავს:

— ბავშვებო, შესვენების დროს თამაში არ შეიძლება, აიღეთ წიგნი და წაიკითხეთ „ჟელნაცარა!"

გიას დედა ყოველთვის ადრე მიდის სკოლაში და ხშირად თავს დასტრიალებს გიას.

როგორც კი სკოლიდან დაბრუნდებიან ავრორა და გია (ავრორა გიას დედაა), ერთად სწავლობენ გაკვეთილებს.

გია უფრო ადრე სწავლობს ლექსებს, ვიდრე ავრორა, და გია სიცილით კვდება.

როგორც კი მორჩება ბიჭი გაკვეთილებს და წიგნებს ჩანთაში ჩააწყობს, ავრორა საათს დახედავს და წამოიძახებს:

— გია... ინგლისურზე არ დავიგვიანოთ!

— ინგლისური... ინგლისური... — აჭუჭყუნდება გია. — არ მინდა ინგლისური... ეზოში მინდაააა...

— გია!.. — ხმას აუწევს ავრორა...

ინგლისურის მასწავლებელი ანა ალექსანდროვნა ამტკიცებს, რომ გიას უცხო ენის დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ როგორც ყველა ნიჭიერი — ზარმაცია!

გიას, როგორც შავი ჭირი, ისე სძულს ინგლისური, და არც მაინც და მაინც თავში შესდის რამე.

როცა გია მასწავლებელს უზის წინ, ავრორა ცერბერივით კართან არის ჩამომჯდარი.

დროდადრო მოხედავს მასწავლებელი ავრორას და ეტყვის: „ნიჭიერია, ო... რა ნიჭიერია!"

ავრორა ყურებამდე იბადრება.

გაკვეთილი მთავრდება.

დედა ჩანთიდან იღებს კარაქიან პურს და სულ თითით ატენის გიას პირში.

მერე დედა-შვილი საჩქაროდ მუსიკის მასწავლებლისაკენ მიექანებიან.

— ქალბატონო მარგო, ტაქსი რომ არ შეგვხვედროდა, უსათუოდ დავიგვიანებდით. ისე უყვარს გია ინგლისურის მასწავლებელს, რომ ეძნელება დროზე გამოუშვას, „ვისვენებ, ამასთან რომ ვმეცადინობო".

— ისვენებს, კი... ისვენებს... — ბუტბუტებს გია.

— ქალბატონო ავრორა! — თავის მხრივ ავტორიტეტულად აცხადებს მუსიკის მასწავლებელი... — გია მუსიკოსი უნდა გახდეს...

— მუსიკოსი, კი... მუსიკოსი... — ბუტბუტებს გია.

— ძალიან ნიჭიერია, ძალიან... ცოტა ზარმაცია. მაგრამ... აბა, გია, — მიუბრუნდა მასწავლებელი გიას.

გია ოთახიდან გაპარულიყო. ავრორამ სულზე მიუსწრო ეზოში ჩაპარულ ბიჭს, რომელიც მუსიკის მასწავლებლის ვეებერთელა ციმბირულ კატას კუდში ჩაფრენოდა და აზზრიალებდა.

— გია!.. — იკივლა ავრორამ და... დო... რე... მი... ფა... — დაიწყო კლავიშებზე კაკუნი გიამ.

გიას მუსიკის გაკვეთილებიც სძულს, ვერაფრით ვერ გაუგია, რატომ აქებს მასწავლებელი, და ძალიან წუხს, რომ იგი „ასეთი ნიჭიერია".

როცა მუსიკის მასწავლებლიდან დედა-შვილი ქუჩაში გამოვიდნენ, ბიჭი ავრორას შეეხვეწა:

— დედა!.. დედიკო!.. ნუ წამიყვან რა... ცეკვაზე...

— აბა, რას ამბობ, გია, ცეკვაზე შენი მოწყობისათვის მთელი ქალაქი შევძარი.

— დედა... დედიკო... არ მინდა რა ცეკვა...

— გია!..

სანამ ერთ დიდ დარბაზში ცეკვის გაკვეთილი მიმდინარეობდა, ავრორა გარეთ იდგა მოთმინებით, მაგრამ ნერვიულობა მალე დაეტყო. წუთებს თვლა დაუწყო.

გიას „სოლფეჯიო" ჰქონდა საღამოს!

— გია, შვილო... დეიდა ივლიტას შვილი მხატვრულ ტანვარჯიშზე დადის. ამბობენ, ბევრი კარგი ოჯახიშვილი დადის თურმე მხატვრულ ტანვარჯიშზე. დეიდა ლენას, დეიდა ქსენიას, დეიდა კუკუნიას შვილები ყველანი დადიან თურმე, ან როგორ არ მითხრეს ეს ამდენხანს...

— მე ფეხბურთი მინდა... — თქვა გიამ.

— ფეხბურთი როგორ შეიძლება, შვილო!

— ფეხბურთი მინდა, რა!.. — სატირლად მოემზადა გია.

— გია!.. — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ავრორამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გია ხვალიდან მხატვრული ტანვარჯიშის წრეშიც ჩაებმება.

საღამოს გია ჩაის სმის დროს ტელევიზორს უყურებდა. ეკრანზე გამოჩნდა ლამაზი დიქტორი ქალი და თქვა:

„ახლა ნახეთ მხატვრული ფილმი... ამ სურათის ყურება ბავშვებისათვის რეკომენდებული არ არის!"

— გია, დაჯექი ტელევიზორთან ზურგით!.. — უთხრეს გიას დედამ, მამამ, ბებიამ, ბაბუამ, მამიდამ და მეზობლის ქალმა გლაშამ.

გიამ მათ ყური არ ათხოვა, ამიტომ ყურში ჩააფრინდნენ გიას და სამზარეულოში გაიყვანეს ჩაითა და კარაქიანი პურით.

...უჰ, — იწვა საღამოს გია თავის ლოგინში და ფიქრობდა: — როდის იქნება, რომ დიდი ვიქნები, მამიკოს ოდენა? მაშინ ვიყიდი ველოსიპედს, ვიყიდი ბურთს, ჩავალ ეზოში და ვითამაშებ და ვითამაშებ... შურდულსაც გავაკეთებ... სადაც მინდა, ვირბენ...

გიას ეძინა და სიზმარში ხედავდა, რომ ის უკვე „მამიკოს ხელა" იყო და ეზოში თამაშს არავინ უშლიდა.

რ. დვალიშვილი.

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნის — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 07802

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.